ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78. 7824108001**

თარიღი:**17/04/2024**

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის

გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი

ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა“ და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N9 და N10 განკარგულებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ყოფილი ბაგა-ბაღისა და ყოფილი საქვაბის დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების პრივატიზებისათვის დანართი N1 შესაბამისად.

2. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

3. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადების განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი